


განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესიების  
გადახურვის კონსტრუქციები და მასალა

ხელოვნებათმცოდნე:

სალომე გოგოლაური



არქიტექტორ-რესტავრატორი:

ლაშა შარტავა



თბილისი 2022

## სარჩევი

შესავალი.....	3
ცნობები გადახურვის შემადგენელი კომპონენტების შესახებ.....	4
კრამიტის საბურველი .....	10
ლორფინის საბურველი.....	18
აგურის, ყავრის და ლითონის საბურველი.....	28
გუმბათის გადახურვის კონსტრუქციასა და მკლავთა გადახურვის ქვეშ მოწყობილი სივრცის შესახებ.....	31
დასკვნა.....	41

## შესავალი

განვითარებული შუა საუკუნეების<sup>1</sup> საქართველოს ეკლესიებში გამოყენებული გადახურვის კონსტრუქციებისა და მასალის შესახებ გარკვეულ ცნობებს ვხვდებით სხვადასხვა ეკლესიების შესახებ გამოქვეყნებულ კვლევებში. განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციაა მოცემული წიგნში: „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“<sup>2</sup>. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა აღნიშნულ წიგნსა და სქოლიოში მითითებულ სხვადასხვა ლიტერატურას.

ზოგადად, საბურველის დათარიღება საკმაოდ რთული საქმეა; იგი შენობის ამა თუ იმ ნაწილზე ხშირად საჭიროებდა შეკეთებას, ამიტომ თავდაპირველი საბურველი ცოტა ნაგებობამ თუ შემოგვინახა<sup>3</sup>. ძირითადად, წერილობითი წყაროებისა<sup>4</sup> და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ხდება განსაზღვრა იმისა, თუ როგორი საბურველი იყო გამოყენებული აღნიშნული პერიოდის ძეგლებზე. ქვემოთ წარმოდგენილ ნაშრომში, ძირითადი კონცენტრაცია იქნება განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიებზე, თუმცა ერთიანი სურათის დანახვის მიზნით, ნაწილობრივ შევხებით, როგორც ადრეულ, ისე გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიების გადახურვასაც.

ნაშრომში გამოყოფილ შემდეგ თემებში: „ცნობები გადახურვის შემადგენელი კომპონენტების შესახებ“, „კრამიტის საბურველი“, „ლორფინის საბურველი“ და „აგურის, ყავრის და ლითონის საბურველი“ - ინფორმაცია ძირითადად მოპოვებულია სხვადასხვა ლიტერატურიდან, ხოლო რაც შეეხება ბოლო თემას: „გუმბათის კონსტრუქციასა და მკლავთა გადახურვის ქვეშ მოწყობილი სივრცის შესახებ“ - იგი საკმაოდ სპეციფიკურია და მის შესახებ ლიტერატურაში ცნობები ნაკლებად მოიპოვება, ამიტომ წარმოდგენილი მასალა უმეტესად ემყარება ეკლესიების გრაფიკულ მასალაზე დაკვირვებასა და არქიტექტორ-რესტავრატორების მიერ წარმოებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების ანგარიშებს.

---

<sup>1</sup> მოიცავს პერიოდს მე-10 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-14 საუკუნის დასაწყისამდე.

<sup>2</sup> დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხომტარია, მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012

<sup>3</sup> იქვე, გვ. 188

<sup>4</sup> მაგალითად, ურბნისის სიონის X საუკუნის წარწერაში, სადაც დაზიანებების შესახებ არის საუბარი, ვკითხულობთ შემდეგ ფრაზას: „სუეტნი ქარტოცისანი დამპალ იყუნეს“; ვინაიდან, „ქარტოცი“ განიმარტება, როგორც სხვენი, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ურბნისის შემთხვევაში ხის კონსტრუქციაზე გამართულ საბურველთან უნდა გვქონდეს საქმე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 452

## ცნობები გადახურვის შემადგენელი კომპონენტების შესახებ

საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიებისათვის საბურველად უმეტესად გამოიყენებოდა კრამიტი და ლორფინი<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ზოგადად თავდაპირველი საბურველის დადგენა ძალიან რთულია, რადგან გადახურვის ნაწილები ხშირად ზიანდებოდა და საჭიროებდა შეკეთებას, ან და სულაც გამოცვლას. მაგალითად, თუ ნაგებობაზე გვაქვს ლორფინის საბურველი, გაურკვეველია როდის მოხდა მისი მოწყობა და შესაძლოა, თავდაპირველად, მის საბურველად კრამიტი ყოფილიყო გამოყენებული (მაგ., ატენის სიონი (ატენში ამჟამად ლორფინია, თუმცა ცნობებზე დაყრდნობით ვიცით<sup>6</sup>, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იგი კრამიტით იყო დაბურული (სურ. 1)) და ა.შ.)



*სურ 1. ატენის სიონი, VII საუკუნის I ნახევარი, შიდა ქართლი*

საბურველის სხვაობა ძირითადად განპირობებული იყო ადგილმდებარეობის, კლიმატური პირობებისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში (სამხრეთ საქართველო) განვითარებული შუა საუკუნეების ტაძრების გადასახურად ბაზალტის ქვის ლორფინს იყენებდნენ, რადგან ამ რეგიონში აღნიშნული ქვა ადვილად მოიპოვებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში კი, სადაც შედარებით მშრალი კლიმატია, უფრო მეტად გვხვდება კრამიტის საბურველით გადახურული ტაძრები. თავდაპირველად, კრამიტით უნდა ყოფილიყო დაბურული დასავლეთ საქართველოს ტაძრებიც (რასაც არქეოლოგიური მონაპოვრებიც ადასტურებს), თუმცა უმეტესი მათგანი დღეს თუნუქის საბურველითაა დახურული, რადგან სპეციფიკური კლიმატის გამო ზიანდებოდა და საჭიროებდა ხშირ შეკეთებას, საბოლოოდ კი იცვლებოდა უფრო გამძლე

<sup>5</sup> ლორფინი - გადახურვის ქვის ფილა (უმეტესად ადგილობრივი ბაზალტის ქვა)

<sup>6</sup> რ. გვერდწითელი, თ. ნემსაძე, ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირვანდელი ფორმის დადგენის ცდა, ძეგლის მეგობარი, 17, 1969, გვ. 50-56.

სახურავით. ჩრდილოეთ საქართველოს მთის ტაძრების საბურველად ფიქალის ქვასა და ყავარს იყენებდნენ, რადგან მთაში ძირითადად ასეთი სახეობის მასალა მოიპოვებოდა. თუმცა, ამჟამად უმეტესი მათგანი თუნუქის სახურავითაა დახურული.

მშენებლები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ გამძლე სახურავი გაეკეთებინათ, რათა ნაგებობა ნალექის ზემოქმედებისაგან არ დაზიანებულიყო. ზოგადად, გარკვეული სახის კონსტრუქციაზე, საბურველის შემაკავშირებლად გამოყენებული მასალის შესახებ წერილობით წყაროებში ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება, თუმცა რამდენიმე ეკლესიაზე, კერძოდ: კვეტერის<sup>7</sup> (X ს.-ის I ნახ.), აბელიას ტაძრის<sup>8</sup> (1250-1259 წწ.) და ატენის სიონის<sup>9</sup> (VII საუკუნის I ნახევარი) შესახებ არსებული ნარკვევიდან ჩანს, რომ მშენებლობის დასრულებისას კამარა იფარებოდა კირის ხსნარის ფენით, რომელზეც შემდგომ დასაბური მასალა ლაგდებოდა. აღნიშნული ფაქტი მკვლევარების მიერ დგინდება, როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი კრამიტით, რომელზეც კირის ხსნარია შემორჩენილი, ისე კამარისა თუ გუმბათის საბურველის ქვეშ ნაპოვნი კირხსნარის ფრაგმენტებით.

კვეტერის (სურ.2) კომპლექსის შესახებ გამოქვეყნებულ არქეოლოგიურ მასალებში ვკითხულობთ: „ზოგიერთ კრამიტზე შემორჩენილია კირხსნარის კვალი. ჩანს, მათი გარკვეული ნაწილი სახურავზე დულაბით მაგრდებოდა.“<sup>10</sup>



სურ.2 კვეტერას ეკლესია. X ს.-ის I ნახ. კახეთი (აღმოსავლეთ საქართველო). რესტავრირებული გადახურვები მოჭიქული კრამიტის საბურველით

<sup>7</sup> დ. მინდორაშვილი, კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა, თბ., 2010, გვ. 33

<sup>88</sup> ი. გომელაური, ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ აბელიაში, მაცნე, ისტორიის სერია, #1, 1968, გვ. 261

<sup>9</sup> რ. გვერდწითელი, თ. ნემსაძე, ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირვანდელი ფორმის დადგენის ცდა, ძეგლის მეგობარი, 17, 1969, გვ. 50-56.

<sup>10</sup> დ. მინდორაშვილი, კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა, თბ., 2010, გვ. 33



მართალია, დღეს აბელიას ეკლესია (1250-1259 წწ) (სურ.3 და სურ.4) აღდგენილია და ძველი სახურავისგან აღარაფერია შემორჩენილი, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის ცნობაზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ძეგლს კრამიტის სახურავი ჰქონდა, ხოლო შედარებით მოგვიანებით, აღნიშნულ ეკლესიაზე ი. გომელაურის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში ვკითხულობთ: „დღემდე აღარ გადარჩენილა კრამიტის სახურავის ნიშანწყალიც კი, დარჩენილია მხოლოდ ხსნარისა და ქვის საფარი“;<sup>11</sup> მკვლევარი აქ სწორედ იმ კირის ხსნარს გულისხმობს, რომელიც კრამიტის შემაკავშირებლად გამოიყენებოდა.




*სურ. 3 აბელიას ეკლესია, დღევანდელი მდგომარეობა. ქვემო ქართლი*



*სურ.4 აბელია ეკლესია, საარქივო ფოტო, ავტორი: ი. ზენკო*

<sup>11</sup> ი. გომელაური, ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ აბელიაში, მაცნე, ისტორიის სერია, #1, 1968, გვ. 261

ამასთანავე საინტერესოა ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირვანდელი ფორმის დადგენისათვის ჩატარებული კვლევა, სადაც ვკითხულობთ, რომ გუმბათზე სამი სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენა - ხსნარი გამოვლინდა: მე-7 საუკუნის, მე-11 საუკუნის და გვიანი შუა საუკუნეების (იხ.სურ.5). სამივე ეპოქაში ატენის სიონზე საბურველი სწორედ ხსნარის მეშვეობით იყოს შეკავშირებული<sup>12</sup>.



სურ. 5. ატენის სიონის ჭრილი სამი სამშენებლო ფენის ჩვენებით: ხსნარი N1 – VII სს. ხსნარი N2 – განვითარებული შუა საუკუნეები, ხსნარი N3 – გვიანი შუა საუკუნეები

<sup>12</sup> რ. გვერდწითელი, თ. ნემსაძე, ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირვანდელი ფორმის დადგენის ცდა, ძეგლის მეგობარი, 17, 1969, გვ. 50-56.

საინტერესოა, რომ საბურველის შემაკავშირებელ მასალად ხმარობდნენ კირხსნარს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახურავის მოსაწყობად ხის კონსტრუქცია იყო გამოყენებული. მაგალითად, ქვემო ქართლში მდებარე ფიტარეთის ეკლესიის (1213-1222 წწ.) (სურ.6) რესტავრაციის შესახებ არსებულ მასალებში ვკითხულობთ შემდეგ ცნობას: “ფიტარეთის გუმბათის სახურავი შესრულებული ყოფილა ხის კონსტრუქციებით, რომელზეც კირხსნარის შემავსებლის ფენის საშუალებით მოწყობილი იყო ქვის ლორფინის სახურავი.“<sup>13</sup>



*სურ.6. ფიტარეთის ეკლესია, ქვემო ქართლი (1213-1222 წწ.)*

---

<sup>13</sup> მ. ბოჭოიძე, ფიტარეთის არქიტექტურული კომპლექსისა და მისი რესტავრაციის შესახებ, მეგლის მეგობარი, #1, 1993, გვ. 38. აღნიშნული გუმბათის ლორფინის საბურველის მოწყობა ყაფლან ორბელიანის მიერ XVII საუკუნეში მონასტრის განახლებას ფარგლებში უნდა მომხდარიყო.



მცხეთის ჯვრის<sup>14</sup> (სურ.7) საბურველის შემკავშირებელ მასალასთან დაკავშირებით წერილობით ინფორმაციას არ ვფლობთ, თუმცა საარქივო ფოტომასალიდან ვხედავთ, რომ საბურველი ზემოჩამოთვლილი ტაძრების მსგავსად, კირის ხსნარით იყო შეკავშირებული.



*სურ. 7 მცხეთის ჯვრის გუმბათის საბურველის შეკეთების პროცესი. საარქივო ფოტო 1970-იანი წლები*

---

<sup>14</sup> 1994 წელს მცხეთის ჯვრის ეკლესია იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში.

## კრამიტის საბურველი<sup>15</sup>

როგორც ზემოთაა აღნიშნული, განვითარებულ შუა საუკუნეებში ეკლესიების გადახურვის მასალად იყენებდნენ კრამიტს, ან ლორფინს. მდიდარი არქეოლოგიური მასალით დასტურდება კრამიტის ფართო გამოყენება ჯერ კიდევ ანტიკური ხანის საქართველოში. არსებითად, ამ პერიოდში შემუშავებულ კრამიტის წარმოების ტრადიციას მისდევდნენ შუა საუკუნეებშიც<sup>16</sup>.

საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო ბრტყელი (სოლენი) და ღარიანი (კალიპტერი) კრამიტი. სოლენი წარმოადგენს ოთხკუთხა ფილას შემადგენელი კიდეებით. მისი ქვედა ბოლო შევიწროებულია. საბურველის დაწყობისას ზედა კრამიტი ქვედას ედება და მისი ვიწრო ბოლო ქვედა კრამიტის ბორტებს შორის შედის, რაც უზრუნველყოფს წვიმის წყლის ნაკადის გადასვლას ერთიდან მეორეზე. გრძივ ნაკერებს ბრტყელი კრამიტების კიდეებს შორის ფარავენ კალიპტერებით, რომლებიც ასევე შედის ერთმანეთში. გამონაკლისის სახით გვხვდება ორმაგი, პროფილიანი კრამიტიც, რომელიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტის შერწყმით არის მიღებული. მისი მაგალითი სულ რამდენიმეა (მცხეთის ანტიოქია, ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა, ალავერდის ტაძარი, არმაზის მონასტერი). ასეთმა კრამიტმა საქართველოში ფართო გავრცელება ვერ პოვა, თუმცა არსებობს აზრი, რომ ის შესაძლოა ლორფინის პროტოტიპი იყოს.

IV-VII საუკუნეების კრამიტი ფორმით დიდად არ განსხვავდება გვიანანტიკურისაგან, თუმცა ხარისხით, როგორც წესი, ჩამოუვარდება მას და ზომითაც შედარებით პატარაა. ფართობორტიანი სოლენის სიგრძე ჩვეულებრივ 40-45 სმ-ია. კალიპტერს აქვს მაღალი, გამლილი კალთები და ზურგზე შვერილი ქიმი (კრამიტები ქუთაისის ნაქალაქარიდან, ბიჭვინტიდან, ნოქალაქევიდან, ძალისადას - სურ.8,9. ურბნისიდან, ვარდისუბნიდან...<sup>17</sup>). ადრეული ხანიდან გვხვდება დაფერილი კრამიტი. წითელი ანგობით<sup>18</sup> დაფარული ნიმუში აღმოჩენილია სამთავროს მცირე ეკლესიის (IV-V საუკუნეები) გათხრისას. წერნაქით<sup>19</sup> შეღებილი დიდრონი ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით იყო გადახურული ჭერემის დარბაზი (V საუკუნე)<sup>20</sup>.

<sup>15</sup> აღნიშნულ თემაზე წარმოდგენილი ფოტომასალა, კერძოდ, კრამიტისა და ანტიფიქსის ნიმუშები აღებულია წიგნიდან: „შენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“, თბ., 2012

<sup>16</sup> ისევე, როგორც საქართველოში, ბიზანტიაშიც კრამიტი შედარებით მარტივ და იაფ გადასახურ მასალად იყო მიჩნეული. იხ.: R. Ousterhout, *Master Builders of Byzantium*, გვ. 147.

<sup>17</sup> ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, გვ. 18-21, 86; ც. ჩაჩხუნაშვილი, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია, გვ. 70; ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, გვ. 119, 138, სურ. 121-122.

<sup>18</sup> თიხის ხსნარი, რითაც იფარება თიხის ჭურჭლის ზედაპირი გამოწვამდე.

<sup>19</sup> წითელი, მეწამული ფერის საღებავი, გამოიყენება თიხის ჭურჭლის მოსახატად.

<sup>20</sup> ი. მამიაშვილი, ციხე-ქალაქი ჭერემი, ძეგლის მეგობარი, #3, 1987, გვ. 23



სურ.8. ღარიანი და ბრტყელი კრამიტები  
ძალისაღან



სურ.9 ღარიანი და ბრტყელი კრამიტები  
ნოქალაქევიდან

VIII-X საუკუნეების კრამიტი საგრძნობლად შემცირებულია ზომით (ყიზილ-დერესი, ქუთაისის ტაძარი<sup>21</sup>), რაც შეიძლება აიხსნას კონსტრუქციის შემსუბუქებისა და წარმოების რაციონალიზაციის მოთხოვნით. ღარიანი კრამიტის ზურგზე აღარ გვხვდება შვერილი ქიმი თუ კოპი, მათ ნაცვლად კალიპტერს სამი ღარი დაუყვება ან მისი ზურგი სრულიად სადაა.



სურ. 10. მოჭიქული ღარიანი და ბრტყელი კრამიტები ქუთაისის „შიდა ქალაქიდან“

<sup>21</sup> ვ. ცინცაძე, ადრექრისტიანული (IV, V სს.) ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგი საკითხი, 2001, გვ. 24.

ამავე ხანებში ჩნდება ფერადი მოჭიქული კრამიტი (ქუთაისის „შიდა ქალაქის“ ტერიტორიაზე გამოვლენილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტები - სურ.10), მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ის განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში - X საუკუნის II ნახევრიდან ვრცელდება. მოჭიქული კრამიტის სახურავი ფერადოვნებითა გამოირჩევა და განსაკუთრებით მდიდრულ იერს ანიჭებს შენობას. მისი საუკეთესო ნიმუშები ტაოს დიდი ტაძრების - ხახულისა და იშხნის გუმბათებმა (სურ.11, 12) შემოგვინახა<sup>22</sup>. ორივე სახურავი ტაძრების მშენებლობის დასრულების თანადროულია (ხახული - 960-70-იანი, იშხანი - 1030-იანი წლებისა). საბურველი ორივეგან ერთი პრინციპითაა დაგებული: გუმბათის სახურავის კონუსი დაყოფილია ტოლ სექტორებად, რომლებიც მონაცვლეობით დაბურულია ღვინისფერი და მორუხო-მოლურჯო კრამიტით. როგორც ბრტყელ, ისე ღარიან კრამიტს აქვს საგანგებო კოპი შუაში ნახვრეტით ლურსმნისათვის. დუღაბის ფენაში ჩარჭობილი ლურსმნები საიმედოდ ამაგრებდა კრამიტებს სახურავის დამრეც კალთებზე. მთლიანად, ხახულისა და იშხნის სახურავები ტაოელ ოსტატთა მაღალი სამშენებლო კულტურის საგულისხმო საბუთია.



სურ.11. ხახულის ეკლესია ტაო-კლარჯეთი (თურქეთი). გუმბათი მოჭიქული კრამიტის საბურველით



სურ.12. იშხნის ეკლესია ტაო-კლარჯეთი (თურქეთი). გუმბათი მოჭიქული კრამიტის საბურველით

მოჭიქული კრამიტი გამოიყენებოდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. თავდაპირველი ცისფერი კრამიტი ბოლო დრომდე ბურავდა კვეტერას (სურ.14) ეკლესიას (X საუკუნის ბოლო, სურ.8). აქვეა აღმოჩენილი მწვანე და სოსანისფრად მოჭიქული კრამიტები, რომლითაც არქიტექტურული ანსამბლის სხვა შენობები უნდა ყოფილიყო

<sup>22</sup> იშხნის ტაძრის დანარჩენი ნაწილები ჩანგრეულია. ხახული, გუმბათის გამოკლებით, ახლად გადახურეს თუნუქით 1970-იან წლებში.



გადახურული<sup>23</sup>. მწვანედ და წაბლისფრად მოჭიქული კრამიტები უხვად გამოვლინდა, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ინტერიერში და მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის ამ ორი ფერის კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული<sup>24</sup>. წაბლისფერ ღარიან კრამიტს თავის გადაბმის ადგილზე აქვს ქედი, რომელთანაც სალურსმნე ნახვრეტია დატოვებული (სურ.13).



სურ.13 მოჭიქული ღარიანი კრამიტი ქუთაისის „ბაგრატის ტაძრიდან“

განსაკუთრებით ფართო მოხმარება ჭიქურიან კრამიტებს XII-XIII საუკუნეებში ჰქონდა. ძალიან მაღალი ხარისხის ცისფრად მოჭიქული ღარიანი კრამიტის ფრაგმენტია გადარჩენილი საორბისის გადახურვიდან (1152 წელი). ის დამზადებულია წითელი, კარგად გამომწვარი თიხისაგან და ზემოდან სქელი ლაჟვარდისფერი ჭიქური აქვს გადავლებული (სურ.14).



სურ 14. მოჭიქული ღარიანი კრამიტი საორბისის ეკლესიიდან



სურ 15. მოჭიქული ღარიანი და ბრტყელი კრამიტები ოზაანის ამაღლების ეკლესიიდან



სურ 16. მოჭიქული ბრტყელი კრამიტი ტიმოთესუბნის ეკლესიიდან

ოზაანის ეკლესიის საბურველის (ის სავარაუდოდ იატაკის თანადროული, XII საუკუნისა უნდა იყოს) ღარიანი და ბრტყელი კრამიტები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან და მწვანე ჭიქურით არის დაფარული. ბრტყელი კრამიტები მცირე ზომისაა, დაბალი ბორტითა და ირიბად დაშვებული კიდეებით. ქედიანი ზურგის მქონე ღარიანი

<sup>23</sup> დ. მინდორაშვილი, კვეტერას ციხის არქეოლოგიური მასალა, გვ. 33.

<sup>24</sup> თ. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, გვ. 168.

კრამიტი ზუსტად ერგება იმავე ფერის ჭიქურით დაფარულ კონუსური ფორმის ანტიფიქსს (სურ.15). ფირუზისფერი ჭიქური ამშვენებდა ტიმოთესუბნის ეკლესიის სახურავს (სურ. 16); XIII საუკუნეს მიეკუთვნება ცისფრად მოჭიქული კრამიტები გელათის სემინარიის შენობიდან. უფრო გვიანი ხანის ეკლესიებიდან აღსანიშნავია საქადაგიანოს წმ. დიმიტრი (1498 წელი), მწვანე ჭიქურით დაფარული კრამიტის საბურველით და გელათის წმ. გიორგი (XVI-XVII საუკუნეები), რომელიც ასევე მწვანედ და ლურჯად მოჭიქული კრამიტით იყო დაბურული.

ადრეული ხანიდან ბრტყელ კრამიტებზე გვხვდება ჯვრის რელიეფური გამოსახულებები. ასეთი კრამიტები გამოყენებული იყო გურჯაანის ყველაწმინდის, ვაჩნაძიანის ყველაწმინდის, აკურას მამადავითის, ერწოს სიონის<sup>25</sup>, თიღვის, ფიტარეთის, თბილისის სიონის (XIV საუკუნის ფენა - სურ.17) ეკლესიების სახურავებზე. ადრეული შუა საუკუნეების ჯვრიანი კრამიტის ფრაგმენტი გამოვლინდა ქუთაისის ციხეზე. გამოთქმულია აზრი, რომ ჯვრიან კრამიტებს მონასტრებთან არსებულ კერამიკულ სახელოსნოებში ამზადებდნენ<sup>26</sup>, თუმცა შესაძლოა, ისინი ჩვეულებრივ სახელოსნოებშიც გაეკეთებინათ და ჯვრებით საგანგებოდ აღენიშნათ, როგორც საკულტო ნაგებობების დასაბურად განკუთვნილი.



სურ. 17. თბილისის სიონის ჯვრიანი კრამიტი



სურ. 18. შროშანით შემკული კრამიტი

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ბრტყელი კრამიტები, რომელთა ზედაპირზე, ფართო ბოლოში, ყალიბის მეშვეობით ჰერალდიკური შროშანის მსგავსი სამყურა ყვავილია გამოყვანილი. მათი ნაწილი მოჭიქულიც იყო<sup>27</sup>. საფიქრელია, რომ ისინი მხოლოდ სახურავის გამოსაჩენ ნაწილში უნდა ყოფილიყო დაწყობილი. შროშანიანი კრამიტები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი XII-XIII საუკუნეთა ძეგლებზე - ნადარბაზევის სასახლეში, ვაკისა და დაღეთის ეკლესიებში, სამღერეთის მონასტრის ეკლესიასა და

<sup>25</sup> Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, გვ. 370.

<sup>26</sup> ვ. ჯღამაია, *სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში*, გვ. 17.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 38, ტაბ. VII, 2.

სატრაპეზოში<sup>28</sup>, რუსთავის ნაქალაქარის სასახლეში (სურ.18). ამავე ხანების შრომანიანი კრამიტები უზვად გამოვლინდა თბილისის გათხრებისას. ი. ციციშვილი ამ სახის კრამიტებს სამეფო კართან არსებულ ან მეფეს დაქვემდებარებულ სახელოსნოებში წარმოებულ პროდუქციად მიიჩნევს<sup>29</sup>. თუ ეს ვარაუდი სწორია, საფიქრელია, რომ ჰერალდიკური შრომანი საქართველოში ჯვაროსნებთან კონტაქტის შედეგად უნდა გაჩენილიყო<sup>30</sup>.

აქვე უნდა ვახსენოთ ასომთავრულ და ნუსხურწარწერიანი კრამიტები. წარწერები ნედლ თიხაზე, კრამიტის გამოწვამდეა შესრულებული. გვხვდება როგორც ამოზურცვით, ასევე - უფრო იშვიათად - ჩაზნექვით შესრულებული წარწერები. ისინი, როგორც წესი, სავედრებელი ხასიათისაა და შეიცავს მომგებლების, ან მეკრამიტე ოსტატების სახელებს. მაგალითად: კრამიტი ფოხორაულების (თელავთან) სამეკლესიიანი ბაზილიკიდან - „ქრისტე, შეიწყალე ეკოლ“; საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ხუროთმოძღვრების ფონდში დაცული კრამიტი (საინვ. N901)- „ქრისტე, შეიწყალე აღნა“; კრამიტი ახაშნის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან - „ძელო ცხორებისაო, აცხოვნე საგინა“ (სურ.19); იყალთოს მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კრამიტი - „ქრისტე, შეიწყალე თევდორე მნათე“. ეს უკანასკნელი შესაძლოა მიგვანიშნებდეს მონასტერთან სამშენებლო კერამიკული სახელოსნოს არსებობასა და იქაური სასულიერო პირების სამშენებლო საქმიანობაში მონაწილეობაზე.



სურ. 39. კრამიტი ახაშნის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან



სურ.20. ანტიფიქსიანი კრამიტი ქუთაისის „ბაგრატის ტაძრიდან“

კრამიტის სახურავის ნაწილია ანტიფიქსები - მომცრო ფილები, რომლებიც უშუალოდ კარნიზის თავზე ეწყობა და სულ ქვედა რიგის ღარიანი კრამიტების ბოლოებს ფარავს.

<sup>28</sup> ი. ციციშვილი, „მონასტრის“ არქიტექტურული ანსამბლი, მიმოხილველი, II, 1951, გვ. 283, 292, სურ. 7; მისივე, რუსთაველის ეპოქის ძეგლები ქვემო ქართლში, ძეგლის მეგობარი, 7, 1965, გვ. 52.

<sup>29</sup> ი. ციციშვილი, „მონასტრის“ არქიტექტურული ანსამბლი, გვ. 297.

<sup>30</sup> ჰერალდიკური შრომანი უცნობი იყო აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროში, მაგრამ დასავლეთ ევროპაში (პირველ რიგში საფრანგეთში) ის მეფის ხელისუფლების ფართოდ გავრცელებულ სიმბოლოს წარმოადგენდა ადრეული შუა საუკუნეებიდან. ფლეურ-დე-ლის გამოსახებოდა ჯვაროსანთა სამოსზე, დროშებსა და საჭურველზე (A. J. Boas, Archaeological Sources for the History of Palestine: The Frankish Period: A Unique Medieval Society Emerges, *Near Eastern Archaeology*, Vol. 61, No. 3, 1998, გვ. 167-168).



ზოგჯერ ანტიფიქსი შერწყმულია ღარიან კრამიტთან (კრამიტი ქუთაისის კათედრალიდან, (სურ.20), მაგრამ უფრო ხშირად მათ ცალკე ამზადებდნენ. მათ ჩვეულებრივ ხუთკუთხა (ქვემოდან ნაწილში მართკუთხა და ზედაში სამკუთხა), სამკუთხა ან ნახევარწრიული ფორმა ჰქონდა. ანტიფიქსები კარგად ჩანდა, ამიტომ მათ გაფორმებას საგანგებო ყურადღება ექცეოდა. ზოგ შენობაში ისინი შენობის საფასადო დეკორის არსებით ელემენტს წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების ანტიფიქსებზე უმეტესად გვხვდება ცხოველთა ფიგურები (სურ.21,22), ჯვრის გამოსახულება (სურ. 23,24,25), ასევე ზოგ ანტიფიქსზე ჯვარს ახლავს სავედრებელი წარწერა (სურ. 26,27,28)<sup>31</sup>.



სურ. 21,22 ანტიფიქსები ცხოველთა გამოსახულებით



სურ. 23,24,25 ანტიფიქსები ჯვრების გამოსახულებით



სურ. 26, 27,28 წარწერიანი ანტიფიქსები

<sup>31</sup> „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“, თბ., 2012, 189-196





*სურ.29, 30, 31, 32 მოჭიქული ანტეფიქსები გელათის მონასტრის აკადემიიდან*

განვითარებულ შუა საუკუნეებში მოჭიქულ კრამიტებთან ერთად გავრცელდა მოჭიქული ანტეფიქსებიც. გელათის აკადემიის გათხრებისას გამოვლინდა XII-XIII საუკუნეების ოთხი ნიმუში, ყველა ჯვრის გამოსახულებით (სურ.29, 30, 31, 32). მწვანე და ცისფერი ჭიქურით დაფარული ანტეფიქსების მოყვანილობა ტოლგვერდა სამკუთხედს უახლოვდება.

## ლორფინის საბურველი<sup>32</sup>

რაც შეეხება ლორფინს - დ. თუმანიშვილს, ნ. ნაცვლიშვილს, დ. ხომტარიას მიაჩნიათ, რომ ლორფინის გამოყენება საქართველოში VII ს-იდან დაიწყო, თუმცა ფართო გავრცელება მან X ს-დან პოვა<sup>33</sup>. გამოთქმულია აზრი, რომ სამხრეთკავკასიური ეკლესიების გუმბათის გარე ფორმის შეცვლა მომრგვალებულიდან პირამიდულისკენ ან კონუსურისკენ სწორედ ლორფინის მიერ კრამიტის გამოდევნას უნდა უკავშირდებოდეს<sup>34</sup>. ქვის ფილების გადახურვა მიღებული იყო ბიზანტიის იმ მხარეებშიც, სადაც კრამიტის წარმოების ტრადიცია არ არსებობდა ან სათანადო მასალა არ მოიპოვებოდა (ანატოლიის შიდა რეგიონები, ათონი)<sup>35</sup>.

ლორფინთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის არქიტექტორ-რესტავრატორი რუსუდან გვერდწითელი. სწორედ მისი კვლევის საფუძველზე ვთავაზობთ ქვემოთ წარმოდგენილ ინფორმაციას.



*სურ.33 მირტაშნის ეკლესია. ლორფინის საბურველი. XIII ს. ქვემო ქართლი*

საქართველოში შენობების დასაბურად ხმარობდნენ როგორც ლილვიან, ისე ულილვო ლორფინს. ლილვი (როგორც წესი, 8-10 სმ. დიამეტრისა) ქვის ფილას უკეთდებოდა შვეულ კიდეზე, ნაშვერის სახით. ის მეზობელ ფილას ედებოდა და უზრუნველყოფდა ლორფინებს შორის წყალგაუმტარობას. ულილვო ლორფინებისათვის ლილვები ცალკე ითლებოდა და სპეციალური კბილით მაგრდებოდა ხსნარში ორ გლუვ ფილას შორის (ასეთი კონსტრუქცია ნაკლებად გამძლეა, ლილვები დროთა განმავლობაში შეიძლება ამოვარდეს - (სურ.33)). ულილვო ლორფინის კიდევ ერთი ვარიანტი გულისხმობს სქელი და თხელი ფილების მონაცვლეობას ჰორიზონტალურ რიგში ისე, რომ სქელი ფილების „კბილები“ თხელს ზედ ედება (სურ.34). ვერტიკალური ზოლის მეზობელ ფილებს შორის

<sup>32</sup> აღნიშნულ თემაზე წარმოდგენილი ფოტომასალის ნაწილი აღებულია ინტერნეტიდან, ხოლო ნაწილი წიგნიდან: „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“, თბ., 2012

<sup>33</sup> დ.თუმანიშვილი, ნ.ნაცვლიშვილი, დ.ხომტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ. 2012, გვ. 184.

<sup>34</sup> Н. Токарский, *Архитектура Армении IV-XIV вв.*, გვ. 177.

<sup>35</sup> R. Ousterhout, *Master Builders of Byzantium*, გვ. 148.

კეთდებოდა განივი კლიტეები სამკუთხა ბუდეების სახით. გუმბათის დასაბურად, მისი კონუსური ფორმის შესაბამისად, საგანგებოდ მზადდებოდა ტრაპეციული ფორმის ლორფინები. ორი ქანობის შეერთების ადგილის დასახურად კი ცალკე ითლებოდა კეხის ქვები<sup>36</sup>.




*სურ.34 საფარის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია. სამცხე-ჯავახეთი ლორფინის*


„სწორკუთხა ქანობის გადასახურავად იხმარება როგორც ლილვიანი, ისე ულილვო ლორფინი, ხოლო გუმბათების პირამიდული ფორმის სახურავისთვის, რომელიც შედგება რამდენიმე სამკუთხა ქანობისაგან, ძირითადად ლილვიანი ლორფინები. ქვის მასალის რაციონალური გამოყენების მიზნით. სავალდებულო არ არის ქანობის ვერტიკალური ზოლების სიგანე ერთნაირი იყოს, განსხვავებულია ლორფინების სიგრძეც თითოეულ ვერტიკალურ ზოლში. არ არის სასურველი მეტისმეტად მცირე ზომის ლორფინების გამოთლა, რადგან ამ შემთხვევაში იზრდება კლიტეების რაოდენობა და შესაბამისად, სახურავში წყლის შეღწევის შესაძლებლობაც. ნებისმიერი ზომის, სწორკუთხა ქანობის დასაბურავად საჭიროა სულ ცხრა ტიპის ლორფინი“ - წერს მკვლევარი და შემდეგ გვთავაზობს ცხრავე ტიპის ნახაზს და მათ დეტალურ განლაგებას: „ლორფინები: N1, 3, 7 და 9 ითლება ყველა ზომის ქანობისათვის და თითო ცალად ეწყობა ქანობის კუთხეებში (სურ. 35). დანარჩენი ტიპის ლორფინების რაოდენობა დამოკიდებულია ქანობის ზომაზე და ლორფინებისათვის ვარგისი ქვების სიდიდეზე. ლორფინები: N2, 4, 6, 8 დაეწყობა ქანობის ნაპირებში, კუთხის ლორფინებს შორის. ლორფინი N5 ავსებს ქანობის მთელ შუა ნაწილს. იმის გამო, რომ ლორფინების ეს ტიპი იხმარება ყველა ვერტიკალურ ზოლში, გარდა განაპირა ზოლებისა, მისი რაოდენობა

<sup>36</sup> რ. გვერდწითელი, ლორფინის სახურავი, თბ., 1991, გვ. 1-26

დამოკიდებულია სახურავის ქანობის საერთო სიდიდეზე. ლორფინი N6 კი იდება ქანობის ზედა ნაწილში N3 და N9 ლორფინებს შორის.<sup>37</sup>



ნახ. 1. ა.



ნახ. 2

სურ.35 ლორფინის ქვების მოწყობის სქემები (ნახაზები აღებულია რუსულდან გვერდწითელის ნაშრომიდან: „ლორფინის სახურავი“ თბ., 1991)

თუ გადახურვა გამოცდილი ოსტატის მიერ გამძლე მასალით, ყველა წესის დაცვით იყო შესრულებული, ის ასწლეულების განმავლობაში უზრუნველყოფდა ნაგებობის დაცულობას. ქვის საბურველი ერთ-ერთი ყველაზე გამძლე და საიმედოა<sup>38</sup>.

შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში არაერთხელ არის ნახსენები სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების ქვის ფილებით დაბურვა. სომხეთში მდებარე ქობაირის მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილ 1292 წლის ქართულ

<sup>37</sup> რ. გვერდწითელი, ლორფინის სახურავი, თბ., 1991, გვ. 1-4  
<sup>38</sup> დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ. 2012, გვ. 187.



წარწერებში ორჯერ გამოიყენება სიტყვა „დავფიქლე“<sup>39</sup>, რაც ქვის ფილებით გადახურვას ნიშნავს.

ქვით დაუბურავს ლარგვისის მონასტრის ნაგებობები გრიგოლ შინდას ძე ავგაროზისშვილს „...მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონისა და საფლავსა ჩემსა ზედა აღვაშენე კარის ბჭე და დავხატე ხელით ჩემითა... ავაგე მარანი და ჩავდგი ოცი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბეღელი, საწოლი, დერეფანი, სამრეკლო და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა (ანუ გათლილი ქვით)“<sup>40</sup>.

საინტერესოა ცნობები თბილისის სიონის შესახებ. 1657 წელს, როსტომ ხანის მმართველობის პერიოდში, ეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა სიონს სამხრეთის მხრიდან მცირე სამლოცველო (ეგვტერი) მიაშენა და ტაძარს ახალი გუმბათი დაადგა.<sup>41</sup> სიონის გუმბათთან დაკავშირებით პლატონ იოსელიანი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „იგი მთლიანად ალგეთის თლილი ქვითაა მოფენილი, რომელსაც ასე მოპოვების ადგილის, ალგეთის ხეობის გამო ეწოდა. ეს ერთგვარი ჯავარიანი ქვაა, ფრიად მაგარი, მაგრამ ისეთი საიმედო არა, რომ წვიმისა და ნესტისაგან დასაცავად გამოდგეს. თუ ძველად მის გასაჭირისა გამო იშველიებდნენ, რადგან ეს ერთადერთი იყო, რაც გადასახურად ჰქონდათ, ახლანდელთა წაწერებში ის სიძველისთვის დამახასიათებლად გამოცხადდა. ამიტომაც, ვითომცდა სიძველის იერის დამცველთა გამო უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში სამჯერ გახდა საჭირო ამ ქვის მასათა ახდა და სამჯერვე მოწმენი გავხდით წყლის შემოჟონვისა, რაც კამარებსაც აფუჭებდა, ახლა კი თვით თავადი გაგარინის ნაყალმარსა და ნახატ მოხატულობას.“

ასევე, საინტერესოა 1710 წლის ცნობა თბილისის სიონის გადახურვის შეცვლისა და სადრენაჟო სისტემის მოწყობის შესახებ: „ქ. მადიდებელი სამებისა, დავითიანი, ძმისწული სახელოვანისა მეფისა გიორგისა და ძე დიდად პატიოსნისა ლევანისა, გამგებელი ქართლისა, ბატონიშვილი ვახტანგ, განმაახლებელი გუმბათით, ლორფინ-საცვარით მონასტრისა ამის, სულისა მეფის ბიძის და მამისათა, დედისათს და სულთა ჩემთა და მეუღლისა, ძისა და ასულთა აღსაზრდელად. ქრისტეს აქეთ ჩლი, ქკს“<sup>42</sup>. აქ გვხვდება ტერმინი „ლორფინიც“. სიონის ლორფინებს განედლებულჯვრიანი ლილვები

<sup>39</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 70. „ქორონიკონსა [ხ]ყჳ. ქრისტე. მოწყალებითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად-წმიდისა შაშიანისა ღმრთის-მშობლისათა, მე, შაჰნშას მანდატურთუხუცესისა ძემან, ბერმან გიორგი, შეწევნისა ამის ყოვლად-წმიდისა, დიდსა იწროებასა შინა ჟამთასა დავფიქლე ეკლესია ესე ქუეშეთ კარისბჭით-ურთ...“. იმავე ეკლესიის მეორე წარწერაში ვკითხულობთ „ქრისტე, ქორონიკონსა [ხ]ყჳ. მოწყალებითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად-წმიდისა შაშიანისა ღმრთის-მშობლისათა, უღირსება კეთილის მე, შაჰნშე მანდატურთუხუცესისა ძე ბერი გიორგი, ღირს ვიქმენ დიდსა იწროებასა შინა ჟამთა და ნაკლულოვანებასა სამართასა და დავფიქლე ეკლესია ესე ყოვლით კარისბჭით-ურთ...“

<sup>40</sup> პ. ზაქარაია, ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 49-50.

<sup>41</sup> სიონის ეკლესიის სამხრეთ ნაწილში შემდეგი სახის წარწერას ვხვდებით: ნებითა ღუთისათა და შეწევნითა სიონთა ღვთისმშობლისათა, მე თბილელმან ელისე საგინაშვილმან, აღუაშენე გუმბათი ესე სიონისა.“... პლატონ იოსელიანი „აღწერა თფილისის სიძველეთა“. 2022 წ. გვ. 87

<sup>42</sup> ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, გვ. 171.

დაუყვებოდა, რასაც დამატებითი დეკორაციული აქცენტი შეჰქონდა ტაძრის საერთო მხატვრულ სახეში<sup>43</sup>.

ლორფინს განსაკუთრებით ინტენსიურად თლიდნენ საქართველოს იმ პროვინციებში, სადაც საამისოდ ვარგისი ქვის კარიერები ჰქონდათ. სამცხე-ჯავახეთის ეკლესიების დიდი ნაწილი ბაზალტის ან ანდეზიტის ლორფინით იყო დაბურული.

რამდენადაც ქვის გათლილი ფილების სახურავის მოწყობა დიდ შრომასთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების კვალდაკვალ, ის იშვიათობა ხდება. გვიან შუა საუკუნეებში ლორფინს ეპიზოდურად იყენებენ (დავით საგარეჯო, ხანცთის სამრეკლო, თბილისის სიონი). მასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება უფრო იაფ, სერიულად დამზადებულ კრამიტს, ან - დასავლეთ საქართველოს რიგით მშენებლობაში - ყავარს. ქვეითდება შესრულების ხარისხიც. XX საუკუნის დასაწყისისათვის მელორფინეს ხელობა თითქმის სრულიად გაქრა. 1910 წელს ე. თაყაიშვილი იკორთის ახალი გადახურვის მოწყობის მესვეურებს სთავაზობდა სპილენძის ან თუნუქის საბურველი გაეკეთებინათ, რადგან იმდროინდელ ოსტატებს, მისი აზრით, ლორფინის ხარისხიანად დამზადება თუ დაგება აღარ შეეძლოთ<sup>44</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბურველის დათარიღება რთული საქმეა. ის შენობის სხვადასხვა ნაწილებზე ხშირად საჭიროებდა შეკეთებას, ან სულაც მთლიანად გამოცვლას, ამიტომ თავდაპირველი საბურველი ცოტა ნაგებობამ თუ შემოინახა<sup>45</sup>. 10 წლის წინ გამოცემულ წიგნში „მშენებელი ოსტატები“ ვკითხულობთ: „ძველი (რაც არ ნიშნავს მაინცდამაინც თავდაპირველს) ლორფინი სრულად, ან ფრაგმენტულად ახალ დრომდე შემორჩა ატენის მცირე გუმბათიან ეკლესიას, ხევის სიონს, ნიქოზის მთავარანგელოზს, იკორთას, ბაიების ორსავე ეკლესიას<sup>46</sup> ... განსაკუთრებით მრავლად გვაქვს (მეტწილად სამცხე-ჯავახეთში) ლორფინით დაბურული XIII-XIV საუკუნეების ნაგებობები: ფიტარეთი, საფარის წმ. საბა, წმ. გიორგი და სამრეკლო, ზარზმის დიდი ეკლესია და სამრეკლო, ჭულე, სამცხის ბიეთი, დაბის წმ. გიორგი, გავეთი, განძანის წმ. ნიკოლოზი, სადამოს მესამე ეკლესია, ზემო ხოსპიო, თირის ეკლესიის ჩრდილოეთი ეგვტერი და სამრეკლო, მირტაშენი, ხოვლე და სხვა (სურ. 36-49). ჩამოთვლილ შენობათაგან უმეტესობას თანადროული სახურავი უნდა ჰქონდეს. ამავე ხანებში გაუკეთდა ლორფინის სახურავი საფარის მიძინებისა და წმ. სტეფანეს X საუკუნის

<sup>43</sup> ტ. კიპარიძე, ახლადგამოვლენილი მშენებლობის სიძველეთა ნაშთები თბილისის სიონში, ძველის მეგობარი, 50, 1979, გვ. 49

<sup>44</sup> ი. ელიზბარაშვილი, ძველი და ახალი მასალები..., გვ. 19.

<sup>45</sup> დ.თუმანიშვილი, ნ.ნაცვლიშვილი, დ.ხომტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ. 2012, გვ. 188.

<sup>46</sup> კ. თორდია, ბაიების (მესხეთი) კლდეში გამოკვეთილი ეკლესიები სადგომებით, ძველის მეგობარი, #2, 1986, გვ. 65; ი. ელიზბარაშვილი, ძველი და ახალი მასალები იკორთის ტაძრის შეკეთება-აღდგენის შესახებ, საქართველოს სიძველენი, 1, 2002, გვ. 19; ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I, გვ. XXX.

ეკლესიებსაც<sup>47</sup> (სურ. 41,42). თუმცა დღეს რომ გადავხედოთ ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიებს, დავინახავთ, რომ რამდენიმეს, კერძოდ, ნიქოზის მთავარანგელოზისა, ჭულეს, და მირტაშენი სახურავი - განახლებულია (სურ.39, 45).



სურ.36 ატენის მცირე ეკლესია.ლორფინის საბურველი. VII-IX საუკუნეები, შიდა ქართლი



სურ.37 .ხევის სიონი, აღმოსავლეთ საქართველო, IX-X საუკუნეები



სურ. 38, 39 ნიქოზის მთავარანგელოზი, X საუკუნე, შიდა ქართლი, სხვადასხვა პერიოდის ფოტო

<sup>47</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 41, 44, სურ. 13.





*სურ. 40. იკორთა, 1172 წელი, შიდა ქართლი*





სურ. 41. საფარის ეკლესია, XIII-XIV სს. სამცხე-ჯავახეთი (სამხრეთ საქართველო)



სურ. 42. საფარის მონასტრის წ. სტეფანეს ეკლესია. ლორჯინის საბურველი, X ს.სამცხე-ჯავახეთი (სამხრეთ საქართველო)



. სურ. 43 ზარზმის ეკლესია და სამრეკლო, სამცხე-ჯავახეთი, XIV ს.



სურ. 44. კულე. XIV ს. საარქივო ფოტო, სამცხე-ჯავახეთი



სურ. 45 კულე. სამცხე-ჯავახეთი 2018 წლის ფოტო,





სურ. 46. გავეთის წმ. გიორგის ეკლესია, სამცხე  
ჯავახეთი, XIII-XIV სს.



სურ.47. განმანის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, სამცხე  
ჯავახეთი, XIII-XIV სს.



სურ.48. სალამოს ეკლესია, სამცხე ჯავახეთი, X ს.



სურ.49. თირის ეკლესია, XIII-XIV სს.  
შიდა ქართლი

## აგურის, ყავრის და ლითონის საბურველი<sup>48</sup>

XVI საუკუნის კახეთში (აღმოსავლეთ საქართველო) ერთხანს გავრცელდა ეკლესიის გუმბათის ჩვეულებრივი აგურით დაბურვის წესი. აგურით ბურავდნენ არა მხოლოდ ახლადაშენებულ ეკლესიებს, არამედ ძველებსაც, რომელთაც სახურავის განახლება ესაჭიროებოდა. ასეთი საბურველი გაუკეთდა ძველი შუამთის ორსავე გუმბათიან ეკლესიას (დიდისა ახლა გამომცვლილია), ხირსის სტეფანწმინდას, გრემის მთავარანგელოზს (ახლა გამომცვლილია), მატანის წმ. ნიკოლოზს<sup>49</sup>. ამავე ხანის ერთი მაგალითი გვაქვს თბილისშიც - ჯვარის მამა. ეკლესიის სხვა ნაწილების აგურით დაბურვა მიღებული არ იყო.

ლორფინთან და კრამიტთან შედარებით იაფ და ადვილად დასამზადებელ გადასახურავ მასალას ხის თხელი ფიცრები - ყავარი წარმოადგენდა. ის საკულტო ნაგებობათა დასაბურავ ინტენსიურად XVII-XIX საუკუნეებში შემოვიდა ხმარებაში. გვაქვს იმის მაგალითიც, რომ შენობის ნაწილი ქვით, ნაწილი კი ხით ყოფილა გადახურული. ალავერდის წმ. გიორგის ხატის 1724 წლის წარწერაში ვკითხულობთ: „ლორფინითა დავბურეთ წინა სამხრო ქვითა და დაბალი სამხრონი ურთხლის ფიცრითა“<sup>50</sup>. ეს ალბათ ის შემთხვევაა, როცა საკმარისი თანხა ან სამშენებლო მასალა არ ჰქონდათ, რომ ეკლესია მთლიანად ლორფინით გადაეხურათ.

XX საუკუნის დასაწყისში რაჭის ბევრ ეკლესიას ყავარი ხურავდა (ლაბეჭინის მთავარანგელოზი, ლადიშის წმ. გიორგი, ხვანჭკარის „გოლგოთა“, კლდისუბნის ღმრთისმშობელი, კვირიკეწმინდა, ჯოისუბნის წმ. გიორგი, წკადისის წმ. გიორგი, ფარახეთის მთავარანგელოზი, ბუგეული და სხვა)<sup>51</sup>. უმეტეს შემთხვევაში, ხის სახურავები XVIII-XIX საუკუნეებში იყო გაკეთებული. მაგალითად, ბუგეულის XVI საუკუნის ეკლესია 1838 წელს განახლეს და მაშინ გამოუცვალეს სახურავიც<sup>52</sup>. გვიანდელი ხის გადახურვა ჰქონდა მაცხვარიშის XI-XII საუკუნეების ეკლესიასაც<sup>53</sup>. ყავრით გადახურეს გელათის წმ. გიორგის ეკლესია და სამონასტრო ანსამბლის ზოგიერთი ნაგებობა 1840 წელს<sup>54</sup>.

ყავარის დასამზადებლად გამოიყენებოდა სოჭი, ნამძვი, ფიჭვი, ურთხელი და სხვა ჯიშის ხეები. ფიცრებს ზამთარში ჭრიდნენ, რომ ხეს გამოშრობა მოესწრო და ჩრჩილს არ შეეჭამა. კრამიტსა და, მით უმეტეს, ლორფინთან შედარებით, ტყით მდიდარ მხარეებში ფიცრები

<sup>48</sup> აღნიშნულ სათაურში მოქცეული ტექსტი აღებულია წიგნიდან: დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია, *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში*, თბ., 2012

<sup>49</sup> გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 63, 125, 130, 133, 149, 156, 209-210, 228

<sup>50</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 111.

<sup>51</sup> გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 63, 125, 130, 133, 149, 156, 209-210, 228.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 69-70.

<sup>53</sup> ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1, გვ. XXX.

<sup>54</sup> მ. კუზევაძე, გელათის მონასტერში XIX საუკუნეში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების ქრონიკები, ძეგლის მეგობარი, #1, 1991, გვ. 68.



ეკონომიურ გამოსავალს წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა გვიან შუა საუკუნეებში, უკიდურესი გაჭირვების დროს. თუმცა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რაჭასა და სვანეთში ყავრით ეკლესიებს გაცილებით ადრეც ხურავდნენ. პატარა ონის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის (XI საუკუნე) გაწმენდის დროს არ გამოვლენილა არც ქვის და არც კრამიტის სახურავის ფრაგმენტები, რაც მკვლევართ მართებულად აფიქრებინებს, რომ ეკლესიას თავიდანვე ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა<sup>55</sup>. იგივეს ვარაუდობენ ზემო კრიხის (X-XI საუკუნეთა მიჯნა) შემთხვევაშიც<sup>56</sup>. როგორც ჩანს, რაჭაში ეკლესიების ხით დაბურვის უწყვეტი რეგიონალური ტრადიცია არსებობდა.

სპილენძით ან სხვა ლითონით შენობის გადახურვა გვიან შუა საუკუნეებამდე საქართველოში მიღებული არ ჩანს. ცალკეული ცნობები ლითონის ფურცლების საბურველის შესახებ მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება. 1650-1652 წლებში იმერეთში მყოფი რუსი ელჩები ალექსეი იველიევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი ქუთაისის ტაძრის აღწერისას აღნიშნავენ: „ქუთაისის დიდ ციხე-გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია, ერთგუმბათიანი, საუცხოოდ აგებული. გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექვსმეტ წახნაგად“<sup>57</sup>. ეს სახურავი აშკარად გვიანდელი (XVII საუკუნეშივე?) გამოცვლილია, რადგან, როგორც არქეოლოგიური მასალით დასტურდება, ტაძარი თავდაპირველად მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული. ლითონის დასაბური ფურცლები იმპორტირებულ მასალას წარმოადგენდა, საქართველოში მათ არ ამზადებდნენ. ქუთაისის ტაძრის გადასახური სპილენძის ფურცლები ალბათ რუსეთიდან უნდა ჩამოეტანათ. ცნობილია, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1770-1780-იან წლებში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა გელათის მონასტერში და, სხვა დანარჩენთან ერთად, მთავარი ტაძარი რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თუნუქით გადაბურა („საკუთრითა მონაგებითა თვისითა დახურა ახლად სრულიადი იგი ეკლესია რკინის ყავრულითა“)<sup>58</sup>. საინტერესოა, რომ 1846 წელს, კვლავ გელათში, მონასტრის შენობების თუნუქით გადასახურად ორლოვის გუბერნიის ქალაქ ლივნიდან მოუწვევიათ ოსტატი ივან კრასოვი, რადგან მთელ ქუთაისის გუბერნიაში მეთუნუქე ოსტატი ვერ უმოვნიათ<sup>59</sup> (როგორც ჩანს, მთელ საქართველოშიც, თორემ რაღა საჭირო იქნებოდა კრასოვის ამსიშორიდან ჩამოყვანა).

საქართველოსგან განსხვავებით, ლითონის (ყველაზე ხშირად ტყვიის) ფურცლებს სახურავისთვის ფართოდ იყენებდნენ ბიზანტიის იმპერიაში. ტყვიის ფურცლების სახურავი ჰქონდა თავიდან ნეა მონის ეკლესიას კ. ქიოსზე, კონსტანტინოპოლის პამაკარისტოსსა და

<sup>55</sup> მ. დვალი, პატარა ონის ხუროთმოძღვრული ძეგლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, ძეგლის მეგობარი, 18, 1969, გვ. 20.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> ალექსი იველიევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოს ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, ი. ცინცაძის გამოცემა, თბ., 1969, გვ. 136.

<sup>58</sup> მ. დვალი, პატარა ონის ხუროთმოძღვრული ძეგლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, ძეგლის მეგობარი, 18, 1969, გვ. 20.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 69.

ქორას მონასტერს (გამოცვალეს 1870-იან წლებში)<sup>60</sup>. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ისტორია მოთხრობილი გიორგი მცირის მიერ „გიორგი მთაწმიდელის ცხორებაში“: ათონის ივირონის მონასტრის ეკლესიაში წყალი ჩადიოდა და ფრესკებს აფუჭებდა. ამასთან, თხზულების მიხედვით, სახურავის უვარგისობის მიზეზი ის ყოფილა, რომ მის „ზედა ტყვია არა იყო“. მონასტრის წინამძღვარი გიორგი მთაწმიდელი კონსტანტინოპოლში წავიდა და იმპერატორ კონსტანტინე IX მონომაქს (1042-1055 წლები) საჭირო რაოდენობის ტყვია გამოსთხოვა საიმპერატორო მარაგიდან. ამ მასალით დაბურეს ივირონის ეკლესია<sup>61</sup>.

რუსეთში უკვე XI საუკუნიდან ეკლესიებს ტყვიის ან კალის ფურცლებით ბურავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალები ადგილობრივ არ მოიპოვებოდა - ისინი შუა ევროპიდან და ბიზანტიიდან შემოჰქონდათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკლესიების დასაბურად მოოქროვილი სპილენძის ფირფიტებიც გამოიყენებოდა (კიევის წმ. მიხეილის მონასტრის ეკლესია, ოვრუჩის წმ. ვასილი, ვლადიმირის წმ. დიმიტრი და სხვა)<sup>62</sup>. ეს ტრადიცია უფრო გვიანაც გაგრძელდა. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში გადასახურ მასალად ლითონის გამოყენება სწორედ რუსეთთან და, შესაძლოა, ათონთან გაცხოველებული ურთიერთობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.<sup>63</sup>

საინტერესო ცნობას გვაწვდის პლატონ იოსელიანი სპილენძის ფურცლებთან დაკავშირებით: „განსვენებულმა დავითმა, იმერეთის მიტროპოლიტმა, ფრიად პრაქტიკულმა მშენებელმა დახურა მის მიერ იმერეთში აღდგენილი ჯრუჭის მონასტერი მოსკოვიდან გამოწერილი სპილენძის ფურცლებით. ამ მრავალი წლის სიგრძეზე ვარგისი ფურცლებით მან შემოჰოვნა ააცილა ტაძრის კამარებს და საზოგადოდ, სახურავებს. ეს ძვირად დაუჯდა, სამაგიეროდ მკვიდრად და სამუდამოდ იქნა უზრუნველყოფილი გადახურვები წვიმისაგან. თუ ხარჯებს დავთვლით, 30 წლის განმავლობაში (ე.ი. 1836 წლიდან დღემდე) - არადა სახურავზე ახლაც მუშაობენ, - სამჯერ მასზე გამოყოფილი თანხები უეჭველად ნაკლები არ იქნება, ვიდრე მის სპილენძის ფურცლებით დახურვას მოუწოდებოდა, ეს კი, ყოველ შემთხვევაში, მომავალში ათასი წლით უზრუნველყოფდა მას. ცნობილია, რომ მერე ერეკლე II-ის დროს, 1735 წლიდან 1796-მდე მცხეთის ტაძარი სამჯერ გადახურეს. ტყვიის, რკინის, თუ სპილენძის ფურცლების არქონა აიძულებდა ჩვენს ძველებს ეკლესიები ალგეთის ფილებით გადაეხურათ, რომელთაგან ყოველი წონით 8 ფუთამდეა (დაახლოები 130კგ). უეჭველია, რომ ახლა სპილენძის ფურცლების სიმრავლისას არაა საჭირო არამდგრადი მასალა მოვიხმართო და რომ ფილებზე გაწეული ხარჯები ვერც მიზანს მიაღწევს და ეს, თავისთავად შეუძლებელი, საქმე გაუთავებელი კამათის საგანი იქნება უფროსობასა, კომიტეტსა და ხელოსანთა შორის“.<sup>64</sup>

<sup>60</sup> R. Ousterhout, *Master Builders of Byzantium*, gv. 149

<sup>61</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 134-135; ქ. ლეფორი, ივირონის მონასტრის ისტორია დაარსებიდან XI ს-ის შუა წლებამდე, წიგნი: ივირონის აქტები, I, თბ., 2008, გვ. 79.

<sup>62</sup> P. A. Rappoport, *Building the Churches in Kievan Russia*, გვ. 149-153.

<sup>63</sup> დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხომტარია, *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში*, თბ., 2012, გვ.198-202

<sup>64</sup> პლატონ იოსელიანი „აღწერა თფილისის სიძველეთა“. 2022 წ. გვ. 87


## გუმბათის გადახურვის კონსტრუქციასა და მკლავთა გადახურვის ქვეშ მოწყობილი სივრცის შესახებ

გადახურვის ქვეშ არსებული კონსტრუქციისა თუ სივრცეების მოწყობის თემა საკმაოდ სპეციფიკურია, მის შესახებ ლიტერატურაში ცნობები ნაკლებად მოიპოვება, რადგან ხელოვნების ისტორიკოსები უმეტესად წერდნენ იმაზე, რასაც თვალთ ხედავდნენ. ამიტომ არსებული მწირი ცნობები ძირითადად ემყარება არქიტექტორ-რესტავრატორების მიერ წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ანგარიშებს.

ზოგადად, საეკლესიო არქიტექტურაში, როგორც დარბაზული და ბაზილიკური ტაძრების ნაგებობის, ისე ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობების მკლავების გადახურვა - იდენტურია. ისინი წარმოადგენს ნახევარწრიულ ქვის კამარებს, რომლებიც გარედან ორქანობა გადახურვით მთავრდება. არსებობდა ქანობის მოწყობის ორი სახის კონსტრუქცია. პირველი - ხის, რომელიც ეყრდნობოდა ქვის კამარას და შედეგად მიღებული იყო კრამიტის მოსაწყობად დახრილი ხის ფერდობი. ხის დანიშნულება კი ძირითადად იყო, როგორც გადახურვის მოსაწყობად დახრილი სიბრტყეების შექმნა, ისე გადახურვის მასების შემსუბუქება. მეორე იყო კაპიტალური კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენდა აგურის ან ბუნებრივი ქვის სუბსტრუქციას - შედგენილს ჯვარედინად მომართული თაღოვან-კამაროვანი სისტემით, რომელიც ქმნიდა საფუძველს კრამიტის ან და ლორფინის (ქვის ფილების) მოსაწყობად. მსგავსად კეთდებოდა ნახევარსფერული გუმბათის გადახურვაც, თუმცა კონუსურ ფორმაში ყოველთვის დარჩენილი იყო ცარიელი სივრცეები.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩვენთვის საინტერესო იმ ეკლესიებს, რომელთა გამოხაზულ ჭრილებზე დაკვირვებითა და გვიან პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოების ანგარიშებში წარმოდგენილი აღწერილობის საშუალებით წარმოდგენა გვექმნება გუმბათის კონსტრუქციასა და მკლავების ორფერდა გადახურვაში მოქცეულ სივრცითი მოწყობის შესახებ.

**ზარზმის ეკლესია** (XIII-XIV) სამცხე-ჯავახეთში მდებარე ზარზმის ეკლესიის საბურველის ქვეშ არსებულ კონსტრუქციასა თუ ლორფინის შემაკავშირებელ მასალაზე ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვება, თუმცა ბოლო დროს მიმდინარე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებმა (სურ.50,51), რომლის მიზანიც იყო ამორტიზებული გუმბათის ლორფინის საბურველის მოხსნა, დაზიანებული ნაწილების აღდგენა და უკან დაბრუნება, წარმოაჩინა თუ როგორ და რა მასალით აშენდა გუმბათი. მშენებლებმა გუმბათის ფორმის მისაღებად ჯერ აღმართეს დახრილი ხის ძელები, რომელიც ეყრდნობოდა გუმბათის ცენტრში აღმართულ ქვითკირის სვეტს (სურ.52) ხის დახრილი ძელებზე კი, გარედან ასევე ქვითკირით გადაიყვანეს კონუსის ფორმა და შემდეგ კირისხსნარის მეშვეობით მასზე დააგეს ლორფინის ფილები. ხის ძელების არსებობისა და მათი განლაგების შესახებ ვიგებთ კონუსზე არსებული მცირე, ირეგულარული ფორმის ღიობიდან (სურ.51).



*სურ. 50. ზარზმის გუმბათის XX საუკუნეში აგურით აგებული კონუსის ზედა ნაწილი (ფოტო-2022წ.)*




*სურ. 51 გუმბათის ქვით აგებულ ადრეულ კონუსზე არსებული ლიობი, საიდანაც მოჩანს ხის ძელები (ფოტო-2022წ.)*



*სურ. 52. ზარზმის მონასტერი, საარქივო ფოტო, ავტორი - ზენკო (XX საუკუნის I მეოთხედი)*



სვეტიცხოველი (XI ს.).<sup>65</sup> მცხეთაში მდებარე სვეტიცხოვლის გუმბათისა და ორფერდა გადახურვაში მოქცეულ მკლავთა ქვეშ არსებულ კონსტრუქციასა და გამოყენებულ მასალაზე, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ უამრავ ეკლესიაზე - ინფორმაცია წყაროებში არ მოგვეპოვება. თუმცა, ნაგებობას გააჩნია სამალავები, საიდანაც გავდივართ გუმბათსა და მკლავების ზედა ნაწილში და ვხედავთ მკლავთაშორისი არეალის განლაგებას. აქ განსაკუთრებით საინტერესოა თუ როგორ არის მოწყობილი აღმოსავლეთ მკლავის - ორფერდა გადახურვის ქვეშ არსებული სივრცე. უშუალოდ კონქის თავზე აშენებულია კონსტრუქციული დანიშნულების მქონე, ორფერდა გადახურვის დამჭერი აგურის კედლები, რომლებშიც გაჭრილია თაღოვანი ღიობები (სურ.53). ღიობები ერთმანეთის პარალელურად არის დატანებული, რაც ერთგვარად ქმნის ანფილადურ განლაგებას. ეკლესიის დასავლეთ მკლავშიც - ორქანობა გადახურვის ქვეშ, ისეთივე თაღნარია მოწყობილი, როგორც აღმოსავლეთით. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონზე დატანებული სამი ღიობი სწორედ კონქის ამ ზედა სივრცეში ექცევა (იხ. სურ.54, 55) და გარკვეულწილად საჰაეროს დანიშნულებასაც ასრულებს.




სურ. 53. სვეტიცხოველი, განივი ჭრილი


<sup>65</sup> 1994 წელს სვეტიცხოვლის ტაძარი იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში.



სურ.58,59. სვეტიცხოვლის საკურთხეველის კონქის ზემოთ თაღნარით დანაწევრებული სივრცე საინტერესოა, ქვემოთ წარმოდგენილი ბეთანიის (სურ.60). და სამთავისისა (სურ.62) ჭრილი. ბეთანიის ჭრილზე ვხედავთ, რომ თაღოვანი სისტემა, სვეტიცხოვლის მსგავსად, გადადის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ მკლავზე. სამთავისის ჭრილში ჩანს აღმოსავლეთ მკლავში, კონქის ზემოთ - ორფერდა გადახურვის ქვეშ, ამოყვანილი კედლები, რომლებიც დანაწევრებულია თაღებით.



სურ.60 ბეთანია. XII-XIII, შიდა ქართლი გრძივი ჭრილი,




სურ.61 ბეთანია. XII-XIII, შიდა ქართლი აღმოსავლეთ ფასადი, სადაც ჩანს ფრონტონში დატანებული საჰაერო ღიობი




სურ.62 სამთავისის ეკლესია (1030 წელი), შიდა ქართლი, განივი ჭრილი,

ამასთანავე, საინტერესოა ქვემოთ წარმოდგენილი: ფიტარეთის (სურ.63), ყინწვისისა (სურ.65) და ანანურის (სურ.66) ჭრილებზე დაკვირვება, რაც გვიჩვენებს, რომ ორფერდა გადახურვის ქვემოთ მოქცეულ მკლავებში იქმნება ცარიელი სივრცე, რომელთაც გარედან, ფრონტონის ნაწილში, დატანებული ჰქონდათ მცირე ზომის დიობი ე.წ. საჰაერო.





სურ.63. ფიტარეთის ტაძრის გრძივი განაკვეთი




სურ.64. ფიტარეთის ტაძრის ფრონტონის ფოტო, სადაც კარგად ჩანს ფრონტონის წვერში მოქცეული მრგვალი საჰაერო ლიობი





სურ.65. ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.სიგრძივი განაკვეთი XII-XIII საუკუნეები. შიდა ქართლი.




სურ.66. ანანურის სიგრძივი განაკვეთი, მცხეთა - მთიანეთი, 1689 წელი

ასევე, ტაო-კლარჯეთში მდებარე **ოშკისა** (სურ.67) და **ოთხთას** (სურ.68) ეკლესიის ფოტოზე დაკვირვებით, ოშკის სამხრეთ მკლავის და ოთხთას შუა ნაწილის ჩანგრეულ ნაწილში ვხედავთ, რომ კამარასა და ფრონტონის კეხს შორის შექმნილია ცარიელი სივრცე, თუმცა ზუსტად როგორაა იგი დანაწევრებული - ჩვენთვის უცნობია.




*სურ.67. ოშკის ეკლესია, 963-973 წლები, ტაო-კლარჯეთი, თურქეთი*



*სურ.68. ოთხთას ეკლესია X ს-ის II ნახ. ტაო-კლარჯეთი, თურქეთი*

**სამთავროს მცირე ეკლესია.** საინტერესოა, ვ. ცინცაძის მიერ სამთავროს მცირე ეკლესიის შესახებ გამოქვეყნებული ნარკვევი, სადაც მოგვიანო პერიოდში დადგმულ გუმბათთან დაკავშირებით შემდეგ ინფორმაციას ვკითხულობთ: “გუმბათის საბურავის თავდაპირველი ფორმის დასადგენად მოვხსენით გვიანი დროის თუნუქის საბურავი, რომლის ქვეშ აღმოჩნდა, მაღალი აგურის წყობით ამოყვანილი, კონუსი. ის ხის კონსტრუქციით იყო შემაგრებული. ცენტრში აღმართული ხის დგარის დასაყრდენად მოწყობილი შემალღება განხორციელებული იყო აგურის, რიყის ქვისა და კრამიტების (სწორედ აქ აღმოჩნდა თავდაპირველი საბურავის კრამიტის ფრაგმენტები) დაყრილი ნატეხებით, რომლებზეც კირის ხსნარი იყო დასხმული. აღნიშნული შემალღების მოხსნის შემდეგ, გამიშვლდა გადახურვის ადრინდელი ფენა. ამ ფენამ შემოგვინახა თავდაპირველი საბურავის მოხაზულობა და მის წვერზე გუმბათის წყობაში ჩადგმული საგანგებოდ დამუშავებული ქვიშაქვის კუბური ფორმის გუმბათის საცობი. ამ ქვის ზედა ნაწილში აღმოჩნდა ფოსო, საფიქრებელია, რომ ის იყო ხის ჯვრის ჩასადგამად. ამრიგად მივიღეთ ძვირფასი მონაცემები ეკლესიის გუმბათის სახურავის თავდაპირველი სახის აღსადგენად.”<sup>66</sup>


აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული სამუშაოები ვ. ცინცაძის მონაწილეობით 1975 წელს ჩატარდა. ამ სამუშაოების ფარგლებში ნაგებობა გაანთავისუფლეს გვიანი დროის მინაშენებისაგან. ჩვენთვის ამ ეტაპზე უცნობია თუ ზუსტად როდის აღიმართა ის გუმბათი, რომელსაც ვ. ცინცაძე გვიანი პერიოდის ხანას მიაკუთვნებს.



სურ.69. სამთავროს მცირე ეკლესია, მცხეთა, ადრეული შუა საუკუნეები. განივი ჭრილი

<sup>66</sup> ვ. ცინცაძე, ადრექრისტიანული (IV, V სს.) ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგი საკითხი, 2001, გვ. 26-27.





*სურ.70. სამთავროს მცირე ეკლესია, მცხეთა, ადრეული შუა საუკუნეები*



*სურ.70. სამთავროს მცირე ეკლესია, მცხეთა, ადრეული შუა საუკუნეები. ავტორი: ი. ზენკო*



## დასკვნა

საქართველოს ეკლესიების გადახურვის კონსტრუქციებისა თუ მასალის კვლევამ საინტერესო შედეგები წარმოაჩინა. სხვადასხვა ლიტერატურაზე, გრაფიკულ მასალასა თუ საარქივო მონაცემებზე დაკვირვებით, ჩანს თუ რა სახის საბურველი გამოიყენებოდა შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში.

განვითარებული შუა საუკუნეებისათვის უმეტესად დამახასიათებელი იყო კრამიტი და ლორფინი, რომელთა გამოყენებასაც განაპირობებდა რეგიონალური თავისებურებები, კერძოდ: კლიმატური პირობები და ხელმისაწვდომობა. ასევე, განვიხილეთ კრამიტისა და ლორფინის სახეობები. ამასთანავე, ერთიანი სურათის დანახვის მიზნით, მიმოვიხილეთ გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საბურველის სახეობები: აგური, ყავარი და ლითონი. არქიტექტორ-რესტავრატორებისა თუ ხელოვნებათმცოდნეების მიერ რამდენიმე ეკლესიაზე გამოქვეყნებული კვლევების საფუძველზე და საარქივო ფოტომასალაზე დაკვირვებით დავინახეთ, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში საბურველის შემაკავშირებლად გამოიყენებოდა კირის ხსნარი, რომელსაც გარკვეულ კონსტრუქციაზე ასხამდნენ.

რაც შეეხება საბურველისათვის მოსაწყობ, საჭირო კონსტრუქციას, ვინაიდან მასზე წერილობითი ცნობები ყველაზე ნაკლებად მოიპოვება, ამიტომ წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ემყარება არქიტექტორ-რესტავრატორების მიერ წარმოებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების ანგარიშებს, ამ მასალაზე დაკვირვებით კი გამოჩნდა, რომ საბურველის ქვეშ არსებული კონსტრუქცია, სავარაუდოდ, ორი სახის იყო; პირველი - ხის, რომელიც ისე ეყრდნობოდა ქვის კამარას, რომ კრამიტის მოსაწყობად დახრილი ფერდობი შექმნილიყო, ხოლო მეორე - კაპიტალური კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენდა აგურის, ან ბუნებრივი ქვის სუბსტრუქციას (იგი შედგენილი იყო ჯვარედინად მომართული თაღოვან-კამაროვანი სისტემით და ასე ქმნიდა კრამიტის, ან და ლორფინის მოსაწყობად საჭირო საფუძველს). ასევე, საინტერესო იყო ჩვენთვის მკლავთა ორქანობა გადახურვის ქვეშ, კერძოდ, ფრონტონის კეხსა და კამარას შორის მოქცეული არეალის საკითხიც. რამდენიმე ეკლესიის განივ ჭრილზე დაკვირვებითა და გარკვეულ შემთხვევაში ფოტომასალაზე დაყრდნობით დავინახეთ, რომ აღნიშნულ არეალში უმეტესად არის ცარიელი სივრცე, რომელსაც ფრონტონის ნაწილში დატანებული აქვს საჰაერო დიობი. ზოგ შემთხვევაში კი ეს სივრცე დანაწევრებულია გადახურვისათვის საჭირო საყრდენი კედლებით, რომლებშიც ანფილადურად განლაგებული თაღებია დატანებული.

გადახურვის ქვეშ არსებული კონსტრუქციისა თუ სივრცეების მოწყობის საკითხის უკეთ გამორკვევისათვის სამომავლოდ კარგი იქნება ისეთი ეკლესიების ნახვა, რომელთა სახურავები ამჟამად გახსნილი - ჩანგრეულია. (მაგ., ტაო-კლარჯეთის ეკლესიები). ასეთი ტაძრების გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს გავარჩიოთ საბურველს ქვეშ არსებული ფენები და საბჯენ კონსტრუქციაზე უფრო დეტალური წარმოდგენა შევიქმნათ.